

## რეკომენდაცია

### შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

2017 წლის 13 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს N8330/17 განცხადებით მომართა თ. კ.-მ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იგი გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი, რადგან ქალაქ ბათუმში სანოტარო ბიუროებში ფიზიკური გარემო არ არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

#### 1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი თ. კ. არის ეტლით მოსარგებლე და ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიაში. ის არის ააიპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ თანადამფუძნებელი და თავმჯდომარე და მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით. მის წარმომადგენელზე მინდობილობის ნოტარიულად გაფორმების მიზნით, განმცხადებელია ქ. ბათუმში რამდენიმე სანოტარო<sup>1</sup> მივიდა, თუმცა, არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა მის ფიზიკურ შესაძლებლობებზე მორგებული. განმცხადებელმა მისაწვდომი სანოტარო ბიუროს შესახებ ინფორმაცია ვერც ინტერნეტით მოიძია.

მოგვიანებით, განმცხადებელმა მოიძია ქ. ბათუმში გორგილადის N5-ში მდებარე სანოტარო ბიურო, რომელიც მისთვის მეტ-ნაკლებად მისაწვდომი იქნებოდა. აღნიშნულ ბიუროში განმცხადებელი შევიდა, თუმცა, შენობის სივიწროვის გამო, მან ვერ შეაღწია ნოტარიუსის კაბინეტში, რის გამოც მინდობილობის პროექტის განხილვა მისაღებში, უცხო პირების თანდასწრებით მოუწია, განცხადების თანახმად, მართალია განმცხადებელმა მინდობილობა გააფორმა, თუმცა, მან თავი შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო, რადგან ვერ შეძლო დამოუკიდებლად, სხვათა თანასწორად, ყოველგვარი დისკომფორტისა და უხერხულობის გარეშე ესარგებლა სანოტარო ბიუროს მომსახურებით.

<sup>1</sup> მათ შორის, მისაწვდომი არ იყო შემდეგ მისამართებზე მდებარე სანოტარო ბიუროები: ბარათაშვილის N22, გამსახურდიას N17, მელაშვილის N29, მაზნიაშვილის N47, ჟორდანიას N12, ჯავახიშვილის N2ა, გორგილადის 54/62

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2017 წლის 8 სექტემბრის წერილის თანახმად, ნოტარიუსები პალატისაგან დამოუკიდებლად, ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ახდენენ ბიუროთა ადმინისტრირებას და განთავსების ადგილის არჩევაში აქვეთ სრული დამოუკიდებლობა, შესაბამისად, პალატა არ წარმოადგენს დისკრიმინაციის განმახორციელებელ სუბიექტს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია სანოტარო ბიუროსათვის სავალდებულო მოთხოვნები და ნოტარიუსები თავად განსაზღვრავენ როგორი შენობა აირჩიონ. სანოტარო ბიუროები ძირითადად განთავსებულია ძველ შენობებში, რომლებიც არ არის მისაწვდომი. წერილში აღნიშნულია, რომ ინსტრუქციის მე-11 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსი უფლებამოსილია კლიენტის მოთხოვნით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედება შეასრულოს სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ. ასევე, ინსტრუქციის 52-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულია მინდობილობის/რწმუნებულების კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით დამოწმება და ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე ფუნქციონირებს პროგრამა „დაეგმე ვიზიტი ნოტარიუსთან“, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, წინასწარ დაჯავშნოს სანოტარო მოქმედებების შესრულების დრო. შესაბამისად, განმცხადებლისთვის მისაწვდომი იყო ბიუროს ფარგლებს გარეთ სანოტარო მომსახურების მიღება. ამას გარდა, მას შეეძლო დაერეკა ცხელ ხაზე და ნოტარიუსთა პალატიდან მას მისაწვდომ სანოტარო ბიუროს შესთავაზებდნენ. მოპასუხემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობს რიგი სამუშაოები ნოტარიუსთა პალატის ადმინისტრაციული ოფისის სხვა შენობაში განთავსებასთან დაკავშირებით, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სრულად იქნება დაცული დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

განმცხადებლის საპასუხო წერილის თანახმად, მოპასუხის მიერ დასახელებული ინსტრუქციის მე-12 მუხლი არ არის სრულყოფილი, რადგან არ ითვალისწინებს მისაწვდომობის ვალდებულებას. ვინაიდან კონკრეტული კრიტერიუმები (მაგ. პანდუსი, კარის სიგანე და სხვა) არ არის გაწერილი, აღნიშნული სტანდარტები მოიაზრება მე-12 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის თანახმად, მოქალაქე უფლებამოსილია მიიღოს ჯეროვანი მომსახურება. ჯეროვანი მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნებოდა, თუ შესასვლელი და კაბინეტის კარები ოდნავ ფართო იქნებოდა და შიდა ნივთები ისე განლაგდებოდა, რომ ეტლით კაბინეტამდე მისვლა შესაძლებელი ყოფილიყო. განმცხადებელმა არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და განმარტა, რომ ცხელ ხაზე დარეკვა აზრს იყო მოკლებული, რადგან მან, მეგობრებთან ერთად, ბათუმში გადაამოწმა ყველა ბიურო, რომელთაგან არც ერთი არ არის მისაწვდომი. შეუძლებელი იყო მინდობილობის ელექტრონული წესით გაფორმება, რადგან განმცხადებელი სრული დატვირთვით ვერ იყენებს ზედა კიდურებს, რის გამოც ვერ ახერხებს ხელმოწერას, შესაბამისად, საჭირო იყო ორი მოწმის მიერ ამ ფაქტის დადასტურება და ამიტომ აუცილებელი იყო ბიუროში პირადად მისვლა. ბიუროს ფარგლებს გარეთ

მომსახურების მიღება გათვალისწინებულია ავადმყოფობის შემთხვევაში, განმცხადებელი კი არ იზიარებს დამოკიდებულებას, რომლის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სახლში უნდა იყოს და გარიყული საზოგადოებისგან. ასევე, ბიუროს ფარგლებს გარეთ მომსახურებაში განმცხადებელს დამატებითი საფასურის გადახდა მოუწევდა, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 507-ე დადგენილების 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ სანოტარო მოქმედება შესრულებულია სანოტარო ბიუროს გარეთ, საზღაურს ემატება ნოტარიუსსა და დაინტერესებულ პირს შორის შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20 ლარს.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი დაუკავშირდა ნოტარიუსთა პალატის ცხელ ხაზს და სთხოვა ქ. ბათუმში მისაწვდომი ბიუროს შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ოპერატორს ამის თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონდა და სთხოვა მოგვიანებით დაერეკა. ხელმეორედ დარეკვის შემდეგ ოპერატორმა სახალხო დამცველის წარმომადგენელს განუმარტა, რომ მისაწვდომი ბიუროს მოძიება ვერ მოხერხდა, თუმცა პირს ნებისმიერ ბიუროში შეუძლია მივიდეს და, თუ შენობაში შესვლას ვერ შეძლებს, ნოტარიუსი გამოვა გარეთ და ქუჩაში განახორციელებს შესაბამის პროცედურას.

## 2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“<sup>2</sup> სასამართლოს განმარტებით, განმარტავს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს პირიქით.<sup>3</sup>

ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N 2/1/473, II, 2

კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ, გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ვერ აკმაყოფილებენ რაიმე კრიტერიუმს. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებათა.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, საერთო პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელმაც გამოიწვია არაპროპორციულად მავნე შედეგი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ, შეიძლება ასევე ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, იმის მიუხედავად, რომ იგი არ ისახავდა ასეთ მიზანს და არ იყო უშუალოდ ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული.<sup>4</sup>

## ***2.1 კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას ადგილი ჰქონდა თანაბარ მოპყრობას არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირის მიმართ***

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. პიროვნების უფლებაა მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან.<sup>5</sup>

<sup>4</sup> ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N 1/2/458 განჩინება, II, 4

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიხედვით, ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, გაუმართლებელია მე-8 მუხლის ვიწროდ განმარტება და იმის დაშვება, რომ ეს მუხლი მოიცავს პირის ურთიერთობის მხოლოდ შიდა წრეს და გამორიცხავს გარე სამყაროს ჩართულობას ამ სფეროში.<sup>6</sup> სასამართლო განმარტავს, რომ **პირადი ცხოვრების პატივისცემა მოიცავს პიროვნების თავისუფალ განვითარებას და უფლებას, დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები საზოგადოების წევრებთან.**<sup>7</sup> შესაბამისად, პირის სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, თუნდაც საჯარო კონტექსტში, შეიძლება განხილულ იქნას პირადი ცხოვრების სფეროს ნაწილად.<sup>8</sup> მე-8 მუხლი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს არ შეუძლია შეაღწიოს საჯარო შენობაში მისი არასათანადო მისაწვდომობის გამო, ვინაიდან ეს ფაქტი ზღუდავს პირის თავისუფალი განვითარების და სხვა ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უფლებას.<sup>9</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას, სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებ(დნ)ენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, რათა ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამ უფლების სრულ რეალიზებასა და მათ სრულყოფილ ჩართვას ადგილობრივ საზოგადოებაში, მათ შორის, უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი სარგებლობის მომსახურებებისა და ობიექტების თანაბარ მისაწვდომობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, სანოტარო მოქმედებას ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის თხოვნით და მას აქვს იურიდიული შედეგი. სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა. შესაბამისად, მომსახურების გაწევის ვალდებულება სანოტარო ბიუროებს ნაკისრი აქვთ კანონმდებლობიდან გამომდინარე.

როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, განმცხადებელმა ქ. ბათუმში ვერ მოიძია მისაწვდომი ბიურო. ის ბიურო, რომელშიც საბოლოოდ განმცხადებელმა მიიღო მომსახურება, შიდა მოწყობის თვალსაზრისით, ეტლით მოსარგებლე ადამიანის

<sup>6</sup> ECtHR, *Niemietz v. Germany*, no. 13710/88, 16/12/1992, § 29

<sup>7</sup> ECtHR, *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, no. 44787/98, 25/12/2001, § 56; *Peck v. The United Kingdom*, no. 44647/98, 28/04/2003, § 57

<sup>8</sup> ECtHR, *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, no. 44787/98, 25/12/2001, § 56

<sup>9</sup> ECtHR, *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, 29/07/2002, § 61; *Zehnal v. The Czech Republic*, no. 38621/97, 14/05/2002

საჭიროებებზე მორგებული არ იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა განმცხადებლის სანოტარო მომსახურების მიღების უფლებაში ჩარევას.

### 2.2.1. გარემოზე ხელმისაწვდომობის პრინციპი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ თუ შენობის არასათანადო მისაწვდომობის გამო პირი ვერ შეძლებს შენობის გამოყენებას, როდესაც ამ პირს სურს ჰქონდეს აქტიური ცხოვრება, ამან შესაძლოა გამოიწვიოს პირის დამცირება და ტანჯვა, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის პირად ცხოვრებაზე.<sup>10</sup>

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ნებისმიერი პირის დისკრიმინაცია არის ადამიანის თანდაყოლილი ღირსების შელახვა.<sup>11</sup> კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. აღნიშნული ზომები, რომელიც მოიცავენ არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა-აღმოფხვრას, შეეხება შენობა-ნაგებობებს, გზებს, ტრანსპორტს, შიდა და გარე ობიექტებს, სკოლებს, საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს კომიტეტის განმარტებით, ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტირებაზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე და საზოგადოებისთვის ღია სერვისებზე ხელმისაწვდომობაზე უარი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას, რომელიც აკრძალულია კონვენციის მე-5 მუხლით.<sup>12</sup> შესაბამისად, რადგან ქალაქ ბათუმში არც ერთი სანოტარო ბიურო არ არის მისაწვდომი ეტლით მოსარგებლეთათვის, საქართველოს სახელმწიფო არღვევს ხელმისაწვდომობის პრინციპი.

## 2.2. განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ თანაბარი მოპყრობა

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის (ხელმისაწვდომობის) გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ

<sup>10</sup> ECtHR, *Molka v. Poland*, no. 56550/00, 11/04/2006

<sup>11</sup> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, პრეამბულა, “h” ქვეპუნქტი

<sup>12</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 2 on Article 9 (Accessibility), adopted at the eleventh session of the Committee (30 March–11 April 2014) on 11 April 2014, UN Doc. CRPD/C/GC/2, para. 34

სამართლიანად ეპყრობიან.<sup>13</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი.<sup>14</sup>

*„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, დისკრიმინაციას წარმოადგენს, მათ შორის, ისეთი მოპყრობა, ან პირობების შექმნა, რომელიც თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.*

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა **განსხვავებულობისადმი** პატივისცემა და მათი **აღიარება** ადამიანთა შორის არსებული **განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად**. შესაბამისად, კონვენცია ადგენს, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულია, პატივი სცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციფიურ საჭიროებებს და უზრუნველყოს შესაბამისი გარემო, რათა მათ სხვებთან თანასწორ პირობებში შეძლონ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული მიდგომა გამოიყენა საქმეში, სადაც განიხილებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევა, რამდენადაც, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ისინი იმყოფებიან განსხვავებულ მდგომარეობაში და ესაჭიროებათ განსხვავებული მოპყრობა.<sup>15</sup> სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციას ასევე წარმოადგენს, თუ არ ხდება იმ პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავებულია და თანაბარი მოპყრობისთვის არ არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება.<sup>16</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ თუ საზოგადოდ მიღებულ პოლიტიკას, წესს ან ღონისძიებას აქვს არაპროპორციულად არახელსაყრელი ზეგავლენა ერთ კონკრეტულ ჯგუფზე, ეს მიიჩნევა დისკრიმინაციად და სწორედ ასეთ დისკრიმინაციულ ღონისძიებად მიიჩნია სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში სახელმწიფოს მიერ ეტლით მოსარგებლე პირისთვის ინფრასტრუქტურის საკითხებში მისაწვდომობის გაუთვალისწინებლობა და ბლანკეტური მიდგომა.<sup>17</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს აქვს აღებული ვალდებულება, საჭიროების არსებობისას, განსხვავებულად მოეპყროს განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს. დასახელებული ვალდებულება ვრცელდება განმცხადებლის უფლებაზე, მიეღოს სანოტარო მომსახურება დამოუკიდებლად, დაუბრკოლებლად და ჯეროვნად, რაც გამოიხატებოდა ფიზიკური

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/2/389, II, 30

<sup>15</sup> ECtHR, *Guberina v. Croatia*, no. 23682/13, 22/03/2016

<sup>16</sup> ECtHR, *Thlimmenos v. Greece*, no. 34369/97, 06/04/2000, §44

<sup>17</sup> ECtHR, *Guberina v. Croatia*, no. 23682/13, 22/03/2016, §§ 71, 86

გარემოს მისი საჭიროებებისადმი მორგებაში როგორც განსახილველი საქმის ფაქტებიდან გამომდინარეობს, განმცხადებელმა მისაწვდომი სანოტარო ბიურო ვერ მოიძია, გორგილაძის N5-ში მდებარე ბიუროში შესვლისა და მომსახურების მიღების პროცედურა კი მისთვის ღირსების შემლახავი იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების, მათ შორის, განმცხადებლის განსხვავებულ მდგომარეობას არ უზრუნველყოფს მისაწვდომობას იმგვარად, რომ მათ დაუბრკოლებლად მიიღონ სანოტარო მომსახურება.

### **2.3. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური გამართლება**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას არ ჰქონია ადგილი, გადადის მოპასუხე მხარეზე. *დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი* ნიშნავს, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

საქართველოს სახალხო დამცველმა, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, შესაბამისი წერილებით, მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. ნოტარიუსთა პალატის საპასუხო წერილის თანახმად, ის არ არის სათანადო მოპასუხე, ვინაიდან ნოტარიუსები, პალატისაგან დამოუკიდებლად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ახდენენ ბიუროთა ადმინისტრირებას. ამასთან, პალატის განცხადებით, სანოტარო ბიუროები, ძირითადად, განთავსებულია ძველ შენობებში, რომლებიც არ არის მისაწვდომი.

ამავე დროს, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის განმარტებით, **ნოტარიუსი უფლებამოსილია მომხმარებლის მოთხოვნით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედება შეასრულოს სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ. თუმცა, ეს საშუალება ვერ ჩაითვლება ყველაზე მსუბუქ და ეფექტურ გზად, რადგან ის ეწინააღმდეგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის იდეას.**

გარდა ამისა, ნოტარიუსთა პალატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განმცხადებელს შეეძლო დაერეკა პალატის ცხელ ხაზზე, სადაც მას, მისაწვდომი სანოტარო ბიუროს თაობაზე მიაწვდიდნენ ინფორმაციას. როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის გახდა ცნობილი, ცხელი ხაზის ოპერატორს მისაწვდომი ბიუროს თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონდა. ასეთი ბიუროს მოძიება ვერც მოგვიანებით მოხდა და



ოპერატორის მიერ განემარტა, რომ პირს ნებისმიერ ბიუროში შეუძლია მივიდეს და, *თუ შენობაში ვერ შევა, ნოტარიუსი გამოვა გარეთ და ქუჩაში მოუწერს ხელს.* აღნიშნული ცხადყოფს, რომ სანოტარო ბიუროთა მოწყობის დროს, არასათანადოდ ხდება ეტლით მოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინება.

სახალხო დამცველი, ასევე, მიუთითებს, რომ განმცხადებლისთვის შეუძლებელია სანოტარო მომსახურების კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით მიღება, რადგან იგი სრული დატვირთვით ვერ იყენებს ზედა კიდურებს, ვერ ახერხებს ხელმოწერას და საჭიროებს ორი მოწმის მიერ, მისი ნების ნამდვილობის დადასტურებას, რისთვისაც ესაჭიროება სანოტარო ბიუროში მისვლა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის 21 თებერვლის წერილის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა წარმოადგენს სამინისტროს პრიორიტეტს. სამინისტროს განცხადებით, სწორედ ამ პრიორიტეტიდან გამომდინარე, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში იუსტიციის სახლებში, საჯარო რეესტრში, საზოგადოებრივ ცენტრებსა თუ სერვისების განვითარების სააგენტოში არაერთი ისეთი ინფრასტრუქტურა, სერვისი და პროგრამა განვითარდა და დაინერგა, რომლებმაც სახელმწიფო სერვისებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაზარდა. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს მითითებით, ნოტარიუსების სამინისტროსგან დამოუკიდებლობის მიუხედავად, მათი მომსახურებაც ამ გზით ვითარდება.

სამინისტროს წერილის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობას ირჩევს ნოტარიუსი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, იგი, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, იმსჯელებს მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლით განსაზღვრულ დებულებაზე, რათა იგი მაქსიმალურად დაუახლოვდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მხედველობაშია მისაღები, იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება, რომლის თანახმად, სანოტარო ბიურო უნდა *უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა ჯეროვან მომსახურებას.*

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ნოტარიატის სახელმწიფო რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ნოტარიუსის სამსახურეობრივ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც აკონტროლებს ნოტარიუსის საქმიანობის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, ისევე, როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში შედის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული სანოტარო მომსახურების ორგანიზების უზრუნველყოფა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს

- განიხილოს სანოტარო ბიუროთა მისაწვდომობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სანოტარო ბიუროთა ნაწილის იმგვარი მისაწვდომობის შესაძლებლობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ეტლით მოსარგებლებს თავისუფლად მიიღონ სანოტარო მომსახურება.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,